ზოგიერთი შენიშვნა განზოგადებული მებიუს-ლისტინგის სხეულების „გაჭრის“ შედეგად მიღებული მოცულობითი ხლართების შესახებ

ილია თავხელიძე
ელ-ფოსტა: ilia.tavkhelidze@rsu.ge
მათემატიკის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. # 2. თბილისი 0186, საქართველო

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია მოცულობითი ხლართები, რომლებიც წარმოიქმნება განზოგადებული 4-სიმეტრიის რადიალური ჭრილების მქონე მებიუს-ლისტინგის სხეულების „გაჭრის“ შედეგად. „ჭრის“ კვეთის მდგომარეობის მიხედვით გამოკვლეულია მიღებული ხლართების ცალკეული ელემენტების რაოდენობა, მათი რადიალური კვეთის სახე და ზოგიერთ შემთხვევაში დადგენილია გადახლართვის მახასიათებელი.